



„მეტი ქალი ნიშნავს მეტ მშვიდობას“

ქეთევან ციხელაშვილი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი

MORE WOMEN MEANS A MORE LASTING PEACE

Ketevan Tsikhelashvili

State Minister of Georgia for Reconciliation and Civil Equality

მეტი ქალი ნიშნავს მეტ მშვიდობას. ქალებს აქვთ მაღალი პასუხისმგებლობა, პრინციპულობა და, იმედგარეულად, განსაკუთრებული მგრძობელობა მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული საკითხების მიმართ. ეს საკითხები უკავშირდება ომის დამანგრეველი შედეგების აღმოფხვრას, იმ ადამიანების დახმარებას, რომლებიც მოუგვარებელი კონფლიქტებით იტანჯებიან და რომელთა შორის ყველაზე მონყველადი ქალები და ბავშვები არიან.

ხშირად ვიხსენებ ერთ-ერთ პირველ შეხვედრას შავოსან დედებთან. მაშინ გამაოცა მათმა მიდგომამ. ეს ქალები ატარებენ გაუნელებელ ტკივილს, უმძიმეს ტვირთს, თუმცა პირველები არიან მათ შორის, რომლებიც მშვიდობისა და ნდობის მშენებლობის აუცილებლობაზე ლაპარაკობენ. ისინი თავადაც მზად არიან, მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში, პირველებმა გადონ ხიდები ომით გახლეჩილ საზოგადოებებს შორის, რათა აღარასოდეს განმეორდეს ის ტრაგედია, რაც გამოვიარეთ და სხვა ოჯახებმა აღარ განიცადონ მსგავსი ტკივილი. მათი ეს განწყობა და შემართება განსაკუთრებული სტიმულის მომცემია საიმისოდ, რომ მშვიდობისა და შერიგებისთვის ვიმუშაოთ.

ხშირად ჩავდივარ გამყოფ საზღვრებთან მდებარე სოფლებში და ვხვ-

More women means a more lasting peace. Women tend to show a higher sense of responsibility, greater adherence to principles and, at the same time, extreme sensitivity to important humanitarian issues such as recovering from the disastrous consequences of wars and assisting people affected by unresolved conflicts, among whom women and children are the most vulnerable of all.

I often recall one of my first meetings with bereaved mothers wearing mourning dresses. I was somewhat taken back by their approach to such traumatic times. Despite the excruciating pain weighing upon them, these women were among the first to speak about the need for peace and confidence-building. They are ready to get involved in this process and build for themselves the first bridges between war-torn communities to ensure that similar tragedies do not recur and that other families are spared the ordeals they have been put through. Their courage and

დები ბევრ ქალს, რომლებიც გმირულად უმკლავდებიან ყოველდღიურობას, იბრძვიან თავიანთი შვილების მშვიდობიანი მომავლისთვის. ხშირად ვხვდები მასწავლებლებსა და მშობლებს გალის რაიონიდან, სადაც საბავშვო ბაღებსა და სკოლებში ბავშვებს მშობლიურ ენაზე სწავლის შესაძლებლობას ართმევენ. სწორედ ეს ქალბატონები, მათ შორის ხანდაზმული და დამსახურებული მასწავლებლები, საუნჯესავით უფროთხილდებიან ენას, ბავშვებს რისკის ფასად ასწავლიან ქართულ ენას და ამ საუნჯეს გადასცემენ. ფსიქოლოგიური წნეხისა და, ფაქტობრივად, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის პირობებში, ისინი ახერხებენ ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდების აღზრდას. ამიტომაც არიან ისინი თანამედროვეობის ნამდვილი გმირები. მართალია, ქალები კონფლიქტის მსხვერპლი არიან, მაგრამ მათშივეა მაღალი პოტენციალი იმისა, რომ კონფლიქტის შედეგები საკუთარი მხრებით ზიდონ, გაანეიტრალონ და სამშვიდობო პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ.

სამოქალაქო სექტორში, მათ შორის სახალხო დიპლომატიაში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი ძალიან ბევრი ქალბატონია ჩართული და ისინი შეუფასებლად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ. დონორებთან ურთიერთობაში ჩვენ ყოველთვის განსაკუთრებით აღვნიშნავთ, რომ ქალების ინიციატივების წახალისება მნიშვნელოვანია სამშვიდობო პროცესისთვის.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენთან ქალები ჩართული არიან მოლაპარაკებებში. ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების 14 რაუნდზე, რომლებზეც მე ჰუმანიტარულ ჯგუფს ვხელმძღვანელობდი, ბევრი საკითხი უკავშირდებოდა კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების ბედსა და ყოველდღიურობას. ჩემი მცდელობა მუდმივად მიმართული იყო იმისკენ, რომ მათთვის კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოგვარებამდეც როგორმე შეგვემსუბუქებინა პრობლემები და მათ მოსაგვარებლად ჰუმანიტარული გზები გამოგვეძინა. მჯერა, ეს კონფლიქტი აუცილებლად მოგვარდება და მივალწევთ ჩვენს გაერთიანებას ევროპულ სახელმწიფოში, როგორცაც საქართველო ყალიბდება. ჩვენი ხედვა და მიდგომა ყოველთვის კონსტრუქციული და საქმიანია. სხვა მხარე რომ არ ახდენდეს საკითხების არასაჭირო პოლიტიზებასა და ყველაფრის სტატუსის თემასთან დაკავშირებას, ბევრი საკითხის მოგვარება შესაძლებელი იქნებოდა. ქართული დელეგაციის 40 პროცენტს ქალები შეადგენენ. ამ პროცესში სხვა მხარეების წარმომადგენელი მეტი ქალი რომ მონაწილეობდეს, უფრო მეტი შესაძლებლობა გაიხსნებოდა.

გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ნაკისრი ვალდებულება და ვასრულებთ ამ ვალდებულებას - გაეროს უშიშროების საბჭოს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციის N1325-ის ფარგლებში. ეს არის ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელშიც ჩართული ვართ სწორედ სამშვიდობო პროცესში ქალების მონაწილეობის წახალისებით.

იმავდროულად, რეგულარულად ვხვდებით ქალთა ორგანიზაციებს და ამ შეხვედრებზე მათ ვაცნობთ სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობას სხვადასხვა ფორმატში - ჟენევის დისკუსიებზე, IPRM (ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი) მოლაპარაკებების მიმდინარეობას, ასევე ვისმენთ მათ პოზიციებს, მოსაზრებებს, რეკომენდაციებს... ეს ძალიან სასარგებლო პროცესია.

ამჟამად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოზიციაზე ყოფნა ჩემთვის ორმაგი პასუხისმგებლობაა - ჩემი პოზიცია და ჩემი რწმენა, რომ მეტი ქალის ჩართულობით მეტი შედეგი მივიღოთ, მინდა, პრაქტიკაში განვახორციელო.

commitment should provide a special impetus for us to move towards peace and reconciliation.

I often visit the villages adjacent to the dividing lines and meet many women there coping with life and struggling to create a more peaceful future for their children. I also meet teachers and parents from the Gali district where pre-school and schoolchildren are denied the right to be educated in their native language. Nevertheless, against adversity, these very women, many of them at a mature stage in life and with proven track records in teaching, continue to teach the Georgian language at their own risk, cherishing it as the most treasured possession to share with children. Working under psychological pressure and against ethnic discrimination, they prevail in raising exceptionally smart young people. These women are true heroines of our time. As victims of conflict, these women still have the potential to make a considerable contribution to the peacemaking process.

An increasing number of women displaced from the occupied territories have been getting engaged in the civil sector, including public diplomacy. We always assure donors that encouraging women's initiatives is an essential part of the peace process.

It is important that Georgian women are involved in negotiations. During the 14th round of the Geneva International Discussions, I headed the working group on humanitarian issues, many of which concerned the fates and everyday lives of conflict-affected people. My efforts within the group were directed toward alleviating their problems, and working out humanitarian solutions before reaching a full-scale settlement of the conflict. After all, undoubtedly, this conflict will be resolved and we will be able to live harmoniously in a truly European state - the one Georgia is aspiring to become. Our visions and approaches are always action-oriented and constructive, an attitude which could have solved many problems had it not been for unnecessary politicization from the party with whom we negotiate. Women account for 40 percent of the Georgian delegation. Greater participation of women from other parties too would have opened up many more opportunities.

Furthermore, we have undertaken a series of commitments under the UN Resolution 1325 on Women and Peace and Security. This is our national action plan which we are implementing by encouraging women's participation in the peace process.

At the same time, we hold regular meetings with various women's organizations to give them insights into how the peace process is proceeding in various formats, including the Geneva Discussions and the Incident Prevention and Response Mechanism (IPRM) negotiations. In return, they also share with us their views and recommendations. This is a thoroughly productive and worthwhile process.

My position as the State Minister for Reconciliation and Civil Equality imposes on me the responsibility to turn the belief, namely that the increased participation of women is rewarded with better results, into reality.